პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
21
ნოემბერი
№ 273
(16399)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ციტრუსოვანთა ბაღებში

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა კრეფა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში პირველი ათობით ტონა ციტრუსი პირველებმა გაგზავნეს გალის რაიონის „მზიურის“ მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის შრომელებმა.

ადრიანი დილიდან სალამომდე საბჭოთა მეურნეობის ბაღებიდან ქარხანაში მოდის მანდარინი და ფორთოხალი, რომლებიც კონვეიერზე ხარისხდება და შემდეგ ყუთებში ფუთავენ. აფხაზეთის ერთერთი უდიდესი მეციტრუსეობის მეურნეობის მშრომელებმა სამშობლოს უკვე უპატაკეს მანდარინის კრეფის წლიური გეგმის შესრულება — მათ უკვე მოკრიფეს 880 ტონა, სეზონის დამლევამდე კი ერთიორად გაზრდიან ამ მაჩვენებელს.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობა „მზიურის“ მუშა ნონა არდაშკელია მანდარინს კრეფს.

ქართული ბიბლიოთეკა

ი. ჰოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოვიპოვოთ ხუთწლედის მოწინავის სახელი!

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩა 40 დღე

200

მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია — გეგმის გადამეტებით!

120

მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები — გეგმის გადამეტებით!

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი იწურება. კრიტიკულად შეგვამოწმოთ როგორ ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას?

ქართველ მეგადურთა გამარჯვება

თბილისის ტრალერის „საქართველოს“ ეკიპაჟმა (კაპიტან-დირექტორი ნ. მხატვარი) ვადამდე დაამთავრა სამუშაო. ატლანტიკაში, გადაჭარბებით შესასრულა მეცხრე ხუთწლედის გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ეკიპაჟმა დაიჭირა 271 ათასი ცენტნერი თევზი, აქედან 24.430 ცენტნერი გეგმის გადაჭარბებით. გამოშვებულია 178,4 ათასი ცენტნერი გაყინული თევზეული, აქედან გეგმის გადაჭარბებით 40,5 ათასი ცენტნერი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა წლიური გეგმა და სარეხო დავალება, აგრეთვე ხუთწლედის, წლევანდელი წლისა და რეისის ყველა ფინანსური მაჩვენებელი. მარტო ანლანდელ რეისში წარმოებულია მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების თევზის პროდუქცია. პირნათლად გაანაღდა ეკიპაჟმა ყველა სოციალისტური ვალდებულება და შემხვედრი გეგმები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად იკისრა.

ყველა ეს წარმატება მიღწეული იყო მძიმე შტორმულ პირობებში და არახელსაყრელ სარეწ ვითარებაში. ეკიპაჟი მუდამ შეუპოვრად მიდიოდა დასახული მიზნისაკენ. მან სამშობლოს უპატაკა რომ აღფრთოვანებდა უდიდესი მუშაობა, რომელსაც რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ეწევიან ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. ეკიპაჟი პარტიასა და რესპუბლიკის მთავრობას აღუთქვამს, რომ კვლავაც არ დაიშურებს ძალღონეს დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის. (საქინფორმი).

დამკვრელური შრომის დღეები

თბილისი. როცა 200 მილიონი მანეთის ზეგეგმიური პროდუქციის გამოშვებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, ოქჩალის შუშის ქარხნის (დირექტორი გ. ჭელაძე) კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლეულს გეგმის გადამეტებით გამოშვა 152 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ დღეებში საწარმოს კოლექტივმა გაანაღდა თვრამეტი თვის გეგმა. თვის ბოლომდე ვალდებულების ანგარიშში გამომშვებული იქნება 247 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 95 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე წლიური ვალდებულება ითვალისწინებს.

დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის თვრამეტი თვის გეგმა და წლიური ნაკისრი ვალდებულება.

რ. ჭელიძე.

ზესტაფონი. (საკ. კორ.) უწუნოდ და უაკარიოდ მუშაობს რკინიგზის სადგურის კოლექტივი, რომელმაც ხუთწლიანი გეგმა ექვსი თვით ადრე შესასრულა.

რკინიგზელებმა კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, 1 ნოემბრისათვის დატვირთეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 21.300 ვაგონი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, რითაც წლევანდელი დავალება გადაჭარბებით შესასრულეს. გეგმის გადამეტებით გადაზიდული იქნება 4.200 ვაგონი ტვირთი! ასეთი ზღუდის აღება დაისახა მიზნად კოლექტივმა წლის ბოლომდე დარჩენილ დროში.

სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ისცვლები, რომლებსაც გ. ჭყოიძე და რ. მაღლაკელიძე ხელმძღვანელობენ.

თელავი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოთიმე) მშრომელებმა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლევანდელი წლის გეგმა ორი თვით ადრე შესასრულეს. წლიური გეგმით გათვალისწინებულ 3.630 ათასი მანეთის ნაცვლად 10 თვეში რეალიზებულია 3.805 ათასი მანეთის პროდუქცია. გეგმის გადამეტებით სავაჭრო ორგანიზაციებმა მიიღეს 175 ათასი მანეთის ნაწარმი, ამავე პერიოდში გამოშვებულია 3.810 ათასი მანეთის პროდუქციის, გეგმა კი 3.798 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა.

ფაბრიკის კოლექტივი პირველი ნოემბრიდან 1976 წლის ანგარიშში მუშაობს.

ა. თვალიაშვილი.

ნ. ვ. პოდგორნი ესაუბრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის საკავშირო ვეჩეს დელეგაციას

19 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშჩინის საკავშირო ვეჩეს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკუპშჩინის საკავშირო ვეჩეს თავმჯდომარე დანილო კეკინი. დელეგაცია სსრ კავშირში უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს მოწვევით არის ჩამოსული.

კეკინმა გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს მადლობა გადიხადა იმისათვის, რომ მიეცა შესაძლებლობა გასცნობოდა საბჭოთის ცხოვრებას. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს დელეგაციის წევრებს ყველგან გულთბადად იღებდენ. იუგოსლავმა პარლამენტარებმა შესძლეს გასცნობოდნენ საბჭოეთის მიღწევებს, საბჭოების მუშაობას, ნახეს, რა ენთუზიაზმით შრომობენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ეშზადებიან დიდსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას. დელეგაციის მეთაური იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის ი. ტიტოს სახელით გულითადად მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა ხალხს.

ნ. ვ. პოდგორნიმ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება პარტიის XXV ყრილობისათვის, თქვა, რომ ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში, რომლებიც ვადამდე ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედს. ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრული კავშირურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელთა პირად კონტაქტებს და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებსა და საუბრებს ამხანაგ ი. ტიტოსთან.

ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, პარლამენტარებს, დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარებაში.

ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა განაცხადა ნ. ვ. პოდგორნიმ, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განმტკიცებაში, ემსახურება სოციალისტური თანამეგობრობის გაძლიერების საქმეს, დიდმნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, ქვეყნად მშვიდობის საქმის განმტკიცებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. გრუშეცკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ა. სოლოგუბი, აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. სპოლე. (საკადესი).

მათს კალენდარზე ახალი წელია

მომავლის ანგარიშში

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ სათავო საწარმოს ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი წარმატებით შრომობს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ქარხნის 1.035-მა მონინავე მუშამ შეასრულა ხუთწლედის პირადი დავალება.

ჩაება რა შეჯიბრებაში, ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის ზევით 100.000 მანეთის პროდუქცია დაამზადოს და სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის გამოუშვას ერთი ახალი საცდელი ელმავალი „ვლ-11“.

სურათზე: ქარხნის მოწინავე მუშათა ჯგუფი. მათ წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის გეგმა. მარცხნიდან: ამწყობი-ზეინკალი ი. გუსლიევი, ელექტრომონტაჟიერი ა. ოყროშიძე, ა. ჯავახიშვილი, ზეინკალ-პნევმატიკოსი ნ. ძებისაშვილი და ელექტროშემდუღებელი ვ. ხვადაგიანი.

ს. ჭილაძის ფოტო.

სოფლის ნოგათეგი

კასპის რაიონის შრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ნაცვლად გეგმა-ვალდებულებისა გათვალისწინებული 16.100 ტონისა საკელმწიფოს მიჰყიდეს 16.275 ტონა შაქრის ჭარხალი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ქვემო ჭალის ი. ბ. სტალინის სახელობის, ხოვლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებმა და კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობამ — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ჭონიაშვილმა.

□

წალენჯიხის რაიონს გეგმა-ვალდებულებით პირუტყვისათვის უნდა დამზადებინა 5.540 ტონა ყველა სახის უხეში საკვები. ფაქტიურად უკვე დამზადა 7.078 ტონა, მათ შორის თივა — 2.723 ტონა ნაცვლად 2.300 ტონისა, სენაჟი — 1.283 ტონა, რაც გეგმა-ვალდებულებას 283 ტონით ჭარბობს და სილოსი — 8.269 ტონა ნაცვლად 8.224 ტონისა.

ქარელის რაიონის მეცხოველეებმა მოიმარაგეს 21.856 ტონა ყველა სახის უხეში საკვები ნაცვლად 18.000 ტონისა, სენაჟი — 6.357 ტონა ნაცვლად 6 ათასი ტონისა, სილოსი — 5.049 ტონა ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 4.919 ტონისა.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იტალიის დოკუმენტებს

20 ნოემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-იტალიის დოკუმენტების ხელმოწერა.

ხელი მოაწერეს:

საბჭოთა კავშირ-იტალიის ერთობლივ დეკლარაციას;

შეთანხმებას 1975-1979 წლების პერიოდში ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ;

შეთანხმებას საზღვაო ნაოსნობის დარგში ორმაგი დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით დოკუმენტებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, იტალიის რესპუბლიკის სახელით — იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. რუმორმა.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები ჯ. ლეონე, სახელმწიფო მრჩეველი, რომლებიც პრეზიდენტს, ახლავან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს. (საკადესი).

საბჭოთა კავშირ-იტალიის მოლაპარაკება

□

მხარეთა სრული თანხმობის ვითარებაში

□

19 ნოემბერს კრემლში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ჯ. ლეონესთან და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან მ. რუმორთან.

ახლა გაზიარება ეხებოდა საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის გაფართოების დიდმნიშვნელოვან საკითხებსა და მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ზოგიერთ აქტუალურ ასპექტს. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისურვებენ, რათა სსრ კავშირისა და იტალიის თანამშრომლობა ასრულებდეს კონსტრუქციულ როლს დაძაბულობის შენელებასა და შვიდობის განმტკიცებაში.

მხარეებმა იმსჯელეს საბჭოთა კავშირ-იტალიის დოკუმენტებზე, რომლებითაც დასრულდება საბჭოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკება იტალიის პრეზიდენტთან. ამ განხილვამ მხარეების სრული თანხმობა გამოავლინა. (საკადესი).

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსკოვში

19 ნოემბერს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი ლონგომ მეუღლითურთ ნახა კრემლის ყრილობათა სასახლეში ბ. ასფეევის ბალეტი „ბალჩისარაის შადრევანი“.

იტალიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში სპატიო სტუმრებთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

ლოჟაში იყვნენ აგრეთვე იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. რუმორი, სხვა იტალიელი სტუმრები.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულდა იტალიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

19 ნოემბერს დღისით ჯ. ლეონე და მისი თანამხლები პირნი ეწვივნენ ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტს. ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა აკადემიკოსმა ე. პ. ველიხოვმა და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ა. ლეგასოვმა, სხვა მეცნიერებმა სტუმრებს უამბეს სამეცნიერო დაწესებულების ისტორიის, იმ საკვლევ სამუშაოთა დიდი მასშტაბის შესახებ, რომლებსაც საბჭოთა მეცნიერები ეწევიან ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

პრეზიდენტი გაეცნო ინსტიტუტის ლაბორატორიებს, მსოფლიოს უდიდეს თერმოიზოლიერ დანადგარს „ტოკამაკ-10“-ს, სხვა დანადგარებს, სადაც ეწყობა ექსპერიმენტები მაღალტემპერატურული პლაზმის მახასიათებლად და სამეცნიერო სამუშაოები ტექნიკური ზეგამტარობის დარგში.

* * *

მე-17 საუკუნის იტალიური ფარნები — შედევრები ნეაპოლის მუზეუმებიდან — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც 19 ნოემბერს გახსნა ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ჯ. ლეონემ. გამოფენის გახსნაზე იყო სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი.

* * *

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინეს საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. ისინი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს გააცნო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ დ. ს. ნიკიფოროვმა. (საკადესი).

საბჭოთა კავშირ-იტალიის მოლაპარაკება

19 ნოემბერს ჯ. ლეონემ ეწვია სსრ კავშირის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიებს, ეცნობა ინსტიტუტის ბოლო მიღწევებს ელექტროფიზიკის, ელექტროქიმიის, ელექტრომეტალურგიის, ელექტროტექნიკური მასალათმცოდნეობის, ელექტრული ინჟინერიის, ელექტრული აპარატების, ელექტრული ავტომატიკისა და ელექტრული ტექნიკის დარგში.

ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსებმა ჯ. ლეონეს ჩვენებეთ ელექტროფიზიკური ინსტალაციები, ელექტროქიმიური ინსტალაციები, ელექტრული ინჟინერიის, ელექტრული აპარატების, ელექტრული ავტომატიკისა და ელექტრული ტექნიკის ლაბორატორიები.

ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნიკოსებმა ჯ. ლეონეს ჩვენებეთ ელექტროფიზიკური ინსტალაციები, ელექტროქიმიური ინსტალაციები, ელექტრული ინჟინერიის, ელექტრული აპარატების, ელექტრული ავტომატიკისა და ელექტრული ტექნიკის ლაბორატორიები.

ავტომატური შეპირაპირება ქოსმოსში

1975 წლის 19 ნოემბერს განხორციელდა 1975 წლის 17 ნოემბერს გაშვებული „სოიუზ-20“ უპილოტო კოსმოსური ხომალდის შეპირაპირება „სალუტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან, რომელიც დაფრინავს 1974 წლის 26 დეკემბრიდან.

„სალუტ-4“ სადგურსა და „სოიუზ-20“ სადგურში კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამით გათვალისწინებულია ერთობლივი ფრენის დროს ორივე კოსმოსური აპარატის კონსტრუქციების, აგრეგატებისა და საბორტო სისტემების შემდგომი დახვეწა.

დედამიწისიერგვლივ ორბიტაზე „სოიუზ-20“ ხომალდის გაყვანისა და მანევრირების შემდეგ განხორციელდა ურთიერთძებნა, დაახლოება, სადგურთან მისვლა და შეპირაპირება. ამ დროს გამოყენებული იყო საბორტო რადიოტექნიკური საშუალებები და საინგარიშო-ამოსახსნელი მოწყობილობები.

„სალუტ-4-სოიუზ-20“ კოსმოსური კომპლექსი დაფრინავს ორბიტით, რომლის პარამეტრებია:

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 367 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 343 კილომეტრი;

მიმოქცევის პერიოდი — 91,4 წუთი;

ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

კოსმოსური კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. მოსულ ინფორმაციას ამუშავებენ და სწავლობენ.

გზად სამშობლოსაკენ

თბილისში ცოტა ხნით შეჩერდა ირანიდან სამშობლოში მიმავალი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჰ. ზინდერმანს და მის მეუღლეს დაზვედნენ და გაეცალნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მეუღლითურთ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცროსთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კაკაბაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახალდიანი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე.

მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ულიგულაშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ჰ. ბაუერი.

(საქინფორმი).

თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომა

ამა წლის 18-19 ნოემბერს პრაღაში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი.

მუშაობის დროს განიხილეს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ჯარებისა და შტაბების მომზადების მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხები, აგრეთვე გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ ორგანოთა მომდინარე საქმიანობის საკითხები.

თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომამ მეგობრულ ვითარებაში, ყველა მისი მონაწილის სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა. განხილულ საკითხთა ბაზა მიიღეს შეთანხმებული გადაწყვეტილებები.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი მარტინ ძური. (საკადესი).

სამეცნიერო საველიდიგინო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობა

19 ნოემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო სამედიცინო-ტექნიკური საზოგადოების პირველი ყრილობა. საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს თორმეტი ათასზე მეტ მეცნიერ მუშაკს, ინჟინერს, ექიმსა და ნოვატორს. ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ პ. ი. გერასიმოვამ შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის განმავლობაში კლინიკური გამოყენებისათვის, აგრეთვე სერიული წარმოებისათვის შემუშავებული და დატკიცებულია სამედიცინო ტექნიკის 500-ზე მეტი ახალი ნაწარმი. ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ოსურაფესა დანერგვის საქმეში დიდი როლს ასრულებს საკავშირო სამეცნიერო სამედიცინო-ტექნიკური საზოგადოება.

ყრილობაზე საბჭოთა სამედიცინო ტექნიკის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, აკადემიკოსმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

(საკადესის კორ.).

ჩვენს დიად სამშობლოში

ბ. ტურბინის ფოტო (საკადესის ფოტოქრონიკა).

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

როსტოველები ევდოკია ანდრიას ასული ნიკულინა (სურათზე მარჯვნივ) და ტაისა ივანეს ასული შტომენკო დონის იმ მრავალჩინებულ ქალთა რიცხვში არიან, ვინც პატიოსნად ემსახურება თავისი მხარის შრომითს დიდებას. ე. ნიკულინა — ყოფილი სამხედრო მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, ამჟამად სკკპ როსტოვის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარეა. ტ. შტომენკო თოთხმეტი წელიწადია მღარავად მუშაობს ვერტმფრენების ქარხანაში, კომუნისტური შრომის დამკვრელია. თავისი პირადი ხუთწლედი მან 1978 წელს შეასრულა. თავდადებული შრომისათვის გამრჯე ქალი ლენინისა და „სამატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით არის არის დაჯილდოებული, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სკკპ XXV ყრილობის

ხელოვნებიდან







მსოფლიო დღეს

განიარაღების დარგში პროგრესისათვის

გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში

ნიუ-იორკი. (საკადრო). უუფლებობასა და სილატაკეს აწყდებიან დასავლეთში ის ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც აჰყვნენ სიონისტურ პროპაგანდას, დატოვეს სამშობლო. აი რას ამბობენ ადგილობრივი გაზეთების ებრაულ ტექსტებთან საუბრებში ის ადამიანები, რომლებიც ხეტიალის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდნენ.

„საბჭოთა კავშირში ზეინკლად ვმუშაობდი, — თქვა მაქს კონიმ, — ორ თვეს ვარ დედამიწაზე სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება უფასოდ ისწავლო და სურვილისამებრ აირჩიო სპეციალობა? მაგრამ ერთი საბჭო

მსოფლიო დღეს

განიარაღების დარგში პროგრესისათვის

გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში

ნიუ-იორკი. (საკადრო). უუფლებობასა და სიღატაკეს აწყდებიან დაბავშვეთში ის ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც აჰყვნენ სიონისტურ პროპაგანდას, დატოვეს საშობლო. აი რას ამბობენ ადგილობრივი გაზეთების ყურნალისტებთან საუბრებში ის ადამიანები, რომლებიც ხეტიალის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდნენ.

„საბჭოთა კავშირში ზეინკლად ვმუშაობდი, — თქვა მაქს კონიმ, — არის თუ არა დედამიწაზე სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლება უფასოდ ისწავლო და სურვილისამებრ აირჩიო სპეციალობა? მაგრამ ერთი საბჭო

ფილმები და შეხვედრები

ფესტივალის დღიური

ტელეფილმები მე-6 საკავშირო ფესტივალის მესამე დღემ მოგვი ნიადაგი მოიტანა. თბილისის კინოს სახლში უჩვენეს დოკუმენტური და მხატვრული ფილმები. ცენტრალური ტელევიზიის შემოქმედებითმა გაერთიანებამ „ეკრანმა“ ეიურის სამსჯაროზე წარმოადგინა უკანასკნელი ოთხი თავი ათსერიიანი დოკუმენტური ფილმისა „რუსეთის მთავარი ქუჩა“. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებას აგვიწერს ფილმი „ბაკო და ბაქოელები“, რომელიც აზერბაიჯანის ტელევიზიამ შექმნა. ჩვენი ყოველდღიური სინამდვილის სხვადასხვა მხარეს აშუქებენ დოკუმენტური ფილმები „სერგი ავაქოვის წუთი“ (სომხეთის ტელევიზიის ნაწარმოები) და „მთაგონება“ (მოლდავეთის ტელესტუდიის ნამოშვება).

დღის მეორე ნახევარში უჩვენეს მხატვრული ფილმები „ბატარა ჯარასკეი“ (ყირგიზეთის ტელევიზია), „ახ, სიყვარული!“ (ჩრდილოეთ ოსეთის ტელევიზიისა და რადიოს საოლქო კომიტეტი), „ბრძოლაში პოვებ“ (გაერთიანება „ეკრანი“).

დელეგაციის წევრები ეწვივნენ ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებს. დასამახსოვრებელი იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მიესალმა კონსერვატორიის პარტორგანიზაციის მდივანი, საოპერო მომზადების კათედრის გამგე ნ. ჯაფარიძე.

ფესტივალის მონაწილეებს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა ასპირანტმა ი. ბეგიზოვამ. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ლატვიელ კინომცოდნეს გ. ძენტისს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომუშაკთა კავშირის ტელევიზიის სექციის ხელმძღვანელს სევნარისტ ვ. ბაუმერტს, აგრეთვე რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვ. ლონტიევს, რომელსაც მაჰყავს გადაცემა „სულით და გულით“ და მწერალ ირაკლი ანდრონიკოვს.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოსანი უმაღლეს მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის კოლექტივს მეფლოცეს უბზეკეთის, ყირგიზეთის დელეგაციების წევრებმა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ყალინინგრადის ტელევიზიის მუშაკებმა, „ქართული ფილმის“ სტუდიის თანამშრომლებმა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ეწვივნენ უკრაინის, „ახახეთის, მოლდავეთის, ბერძის, ბულგარეთისა და უნგრეთის ტელევიზიის, სტუდია „ბელარუსფილმის“ მუშაკები. კიროვის სახელობის ჩარხსამეზეველ ქარხანას ფესტივალის მონაწილეები, რომლებიც სომხეთიდან, ლიტვიდან, ყირგიზეთიდან, თურქმენეთიდან, როსტოვიდან ჩამოვიდნენ; რუსთაველ — აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან, თათრეთის ასს რესპუბლიკიდან ჩამოსული დელეგაციების წევრები; ჯარის ერთ-ერთ ნაწილს — ბელორუსის, ბაშკირეთის, ოდესის, სვერდლოვსკის, სარატოვის, სახალინის ტელევიზიის თანამშრომლები.

სადამო. ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „მოსმინეს საქართველოს სახალხო არტისტის რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“.

(საქინფორმი).

ДОЛЕ МОСКОВИ

დამთავრდა ქართული კინოს დღეები

მოსკოვი. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). მოსკოვში დამთავრდა საქართველოს კინოს დღეები, ციკლიდან — „ოქტომბერში მობილი ხელოვნება“, რომელიც ცვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 55-ე წლისთავს მიეძღვნა.

დასკვნითი საღამო, რომელიც ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა, შესავალი სიტყვით გახსნა ჟურნალისტთა ცენტრალური სახლის დირექტორმა ა. ფეხოგენოვმა, ქართული კინოს შესახებ ილაპარაკა საკავშირო სახელმწიფო კინოინსტიტუტის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, სტუდენტთა ინტერნაციონალური კლუბის თავმჯდომარემ ს. კომაროვამ. მან აღნიშნა, რომ ა. წ. სექტემბერში უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის სახლში გამართულმა ქართული ფილმების „ბატარა ჯარასკეი“ (ყირგიზეთის ტელევიზია), „ახ, სიყვარული!“ (ჩრდილოეთ ოსეთის ტელევიზიისა და რადიოს საოლქო კომიტეტი), „ბრძოლაში პოვებ“ (გაერთიანება „ეკრანი“).

დელეგაციის წევრები ეწვივნენ ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებს. დასამახსოვრებელი იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა და სტუმრებს მიესალმა კონსერვატორიის პარტორგანიზაციის მდივანი, საოპერო მომზადების კათედრის გამგე ნ. ჯაფარიძე.

ფესტივალის მონაწილეებს შემოქმედებითი წარმატებები უსურვა ასპირანტმა ი. ბეგიზოვამ. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ლატვიელ კინომცოდნეს გ. ძენტისს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინომუშაკთა კავშირის ტელევიზიის სექციის ხელმძღვანელს სევნარისტ ვ. ბაუმერტს, აგრეთვე რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვ. ლონტიევს, რომელსაც მაჰყავს გადაცემა „სულით და გულით“ და მწერალ ირაკლი ანდრონიკოვს.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოსანი უმაღლეს მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის კოლექტივს მეფლოცეს უბზეკეთის, ყირგიზეთის დელეგაციების წევრებმა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ყალინინგრადის ტელევიზიის მუშაკებმა, „ქართული ფილმის“ სტუდიის თანამშრომლებმა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ეწვივნენ უკრაინის, „ახახეთის, მოლდავეთის, ბერძის, ბულგარეთისა და უნგრეთის ტელევიზიის, სტუდია „ბელარუსფილმის“ მუშაკები. კიროვის სახელობის ჩარხსამეზეველ ქარხანას ფესტივალის მონაწილეები, რომლებიც სომხეთიდან, ლიტვიდან, ყირგიზეთიდან, თურქმენეთიდან, როსტოვიდან ჩამოვიდნენ; რუსთაველ — აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ტაჯიკეთიდან, თათრეთის ასს რესპუბლიკიდან ჩამოსული დელეგაციების წევრები; ჯარის ერთ-ერთ ნაწილს — ბელორუსის, ბაშკირეთის, ოდესის, სვერდლოვსკის, სარატოვის, სახალინის ტელევიზიის თანამშრომლები.

საღამოს. ფესტივალის მონაწილეებმა და სტუმრებმა თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „მოსმინეს საქართველოს სახალხო არტისტის რ. ლაღიძის ოპერა „ლელა“.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ბარბარა ბრილსკა — ჩვენი სტუმარი

ჩვენი დედაქალაქი სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო კინოფესტივალის ორბიტაზეა. სალ. დან არ გვეტყობრნენ ტელე და კინოგარსკვლავები.

კინოს სახლი — შემოქმედებითი პაექრობის რეზიდენცია დიდი მოლოდინით ცხოვრობს. საკონკურსო წუთშესვენების დროს მოსაცდელ დარბაზში ვის არ ნახავთ. ტელევიზიის ვეებერთელა აუდიტორიისთვის ესოდენ ნაცნობ სახეებს.

თბილისში მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ სტუმრებს კი არა, უცხოელ კინემატოგრაფისტებსაც შეხვდებით.

კინოს სახლში ბარბარა ბრილსკას გამოვეცნაურეთ. პოლონური კინოს პოპულარული მსახიობი, რომელიც ჩვენმა მაყურებელმა ეიო კავალეროვიჩის გმირებული ფილმის „ფარაონის“ ნახვის შემდეგ განსაკუთრებით შეიყვარა. ეს 1965 წელს იყო. მას შემდეგ იგი ბევრ ფილმში ვნახეთ, მაგრამ „ფარაონში“ მაინც განსაკუთრებით გამობრწყინდა ძველი მსახიობური ნიჭის ნიშნთვისებებში, გარდასახვის უნარი, როლის შინაგან სამყაროში წვდომა, ჩინებული პლასტიკა, მომხიბლობა, უშუალობა.

ბარბარა ბრილსკა მარტო სპატიო სტუმრად კი არ ჩამოვიდა, არამედ როგორც ფესტივალის უშუალო მონაწილე. 22 ნოემბერს ჩვენს მაყურებელს საშვალება ექნება ნახოს იგი ედგარ რიაზანოვის ორსერიიან კინოკომედიაში „ბედის ირონია ანდა გაამოს“.

— სახიამოვნოა, რომ ყველა თბილისელისათვის საზეიმო დღეებში, სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო კინოფესტივალზე ჩვენს დედაქალაქში გხედავთ.

— პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანელ კინემატოგრაფისტებთან ერთად ჩამოვედი საქართველოში, მაშინ ფასანაურის მიდამოებში კინოფილმ „თეთრ მგლებს“ ვიღებდით. დაუვიწყარი დღეები იყო. დარიალის მიდამოები, მაღალი თოვლიანი მთები, ფრიალო კლდეების ზვავები სილამაზე, გულღია, ამაყ მთიელებთან შეხვედრები. შემოქმედებითს მუშაობაში ძალას მმატებდა. მეორედ აქ პოლონური კინოს დღეებში ვიყავი.

— რას გვეტყვით რეჟისორ ედგარ რიაზანოვის ახალ ფილმზე „ბედის ირონია, ანდა გაამოს“. თქვენს აქტიორულ ამპლუას სახოლოოდ ხომ არ უღალატეთ?

— პირველად ვითამაშე კინოკომედიაში და ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. მიმიხიდა როლის სახასიათო დეტალებში, სხვადასხვა განწყობამ. ედგარ რიაზანოვი კინოკომედიის ჩინებული ოსტატია და მასთან მუშაობამ სიამოვნება მომანიჭა. თუ როგორი გამოვიდა სურათი, ამას მაყურებელი და ფესტივალის ჟიური თვითონ განსაჯან. მე კი ისევ დამარწმუნა, დაველოდო სახოლოო „განაჩენს“.

— რაზე ოცნებობთ, რა არის თქვენთვის ყველაზე ძვირფასი?

— ჩემთვის ყველაზე ძვირფასა ჩემი ქვეყანა, ჩემი სახლი, ჩემი ოჯახი ორი წლის ბარბარა და ის საქმე, რომელსაც ვემსახურები.

— კინემატოგრაფი. ითხა განსაზიერო თანამედროვე პოლონელი ქალი, მდიდარი შინაგანი ბუნებით აღსავსე. ჭკვიანი და მებრძოლი. ოცნებობს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი რეჟისორის ამჯერ ეიდას ფილმში ვითამაშო.

დასასრულს მომავალი შემოქმედებითი გეგმაოკეებები ვუსურვეთ პოლონელ მსახიობს. ის კი, თავის მხრივ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს მიესალმა.

ნ. ჯაფარიძე.

ЧВЕНС ДЕДАЕАЛАЕШИ

ბოლო წლებში კიდევ უფრო დამშვენდა საქართველოს ძველი და მარად ჰაბუკი დედაქალაქი თბილისი: გაჩნდა ცაში აღმართული მრავალსართულიანი სახლები, გაშენდა ხეივრები, დეკორაციული კუთხეები, ურომლისოდაც დღეს ძნელი წარმოსადგენია ქალაქის სახე.

წლეულს დედაქალაქის კალინინის რაიონის გამწვანების კანტორის მუშაკებმა დარგეს 14 ათასზე მეტი დეკორაციული და მარადმწვანე ხე და ბუჩქი.

თბილისის მთავარი მაგისტრალი—რუსთაველის პროსპექტი, რაიონის სხვა ქუჩები და შესახვევები დამშვენდა ახლად დარგული ჰადრებით, ნეკერჩხლებით, წაბლის ხეებით.

სურათზე: რგავენ ჰადარს.
ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

მსოფლიოს კირველობა ჭადრაკში

პრეზიდენტის უპირატესობით

ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას მატჩის გუშინდელ მეათე პარტიაში თავდადგა მანევრული ბრძოლა გაიმართა.

ნ. გაფრინდაშვილმა ამ მატჩში მეორედ მიმართა უფიმცევის დაცვას — დასწყისს, რომელიც მას დეტალურად აქვს დამუშავებული. ნ. ალექსანდრია, ისევე, როგორც მეორე პარტიაში, ცდილობდა პაექრებით ცენტრალური უჯრების დაკავებას და მათ გამაგრებას, გაფრიდაშვილი კი მანევრებს აწარმოებდა ლაზიერის ფრთაზე. მდგომარეობა დაძაბული რჩებოდა. ახლა დიდი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, ვინ დაიწყებდა პირველად შეტევას. პრეზიდენტის მუქარა უფრო რეალური აღმოჩნდა. მან დიდ ძალებს მოუყარა თავი მეფის ფრთაზე და დაიწყო შეტევა. მართალია, **ერთ** მომენტში ალექსანდრიამ **უზუსტოდ** ითამაშა, მაგრამ გაფრინდაშვილმაც ხელიდან გაუშვა კარგი ტაქტიკური შესაძლებლობა და მალე ხარისხის დათმობა მოუხდა.

მეათე პარტია
ალექსანდრია — გაფრინდაშვილი
უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 g6 3. ∆f3 ∆g7 4. ∆c3 c6 5. a4 ∆f6 6. ∆e2 a5 7. 0—0 0—0 8. ∆e3 ∆a6 9. ∆d2 ∆b4 10. ∆c1 d5 11. e5 ∆e8 12. f4 ∆c7 13. ∆f3 f6 14. ∆d2 ∆e6 15. ∆d1 ∆d7 16. c3 ∆b a6 17. ∆d3 b6 18. ∆f2 c5 19. ∆c2 c4 20. ef ef 21. ∆h4 ∆f7 22. f5 g5 23. ∆f3 ∆e8 24. h4 gh 25. ∆:h4 ∆d6 26. g3 ∆ae8 27. ∆:g2 ∆c7 28. ∆h1 ∆e4 29. ∆e2 ∆g5 30. ∆ce1 ∆e7 31. ∆g4 ∆fe8 32. ∆f3 ∆:e3 33. ∆:e3 ∆:e3 34. ∆:g5 fg 35. ∆:g5 ∆d3 36. ∆:d3 cd 37. f6 ∆e6 38. ∆h4 ∆g6 39. fg ∆:g7 40. ∆e1 ∆f5

პარტია გადადგა. ალექსანდრიამ ჩაიწერა 41-ე სვლა. მას მატერიალური უპირატესობა (ზედმეტი ხარისხი) და მოგების შესაძლებლობა აქვს.

დღეს გაიმართება მეცხრე და მეათე გადადებული პარტიების დამთავრება.

გ. გამრეკელი.

თბილისის სპორტულ გაზეთებზე

ბალახის ჯოკეი. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გუშინ დამთავრდა რესპუბლიკის მეორე ჩემპიონატი. პირველობა მოპოკეს ქუთაისელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ჯერ შარშანდელი ჩემპიონი ბათუმის გუნდი (4:0), შემდეგ კი თბილისის ნაკრებიც (1:0). თბილისელებმა სძლიეს ბათუმელებს (3:0) და მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

რაბბი. ქუთაისი კოლექტივი იბრძვის საქართველოს ჩემპიონის სახელისათვის — თბილისის „ივერია“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატი. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერობა ხელთ იგდეს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილეებმა — „ივერიამ“ და „ლოკომოტივმა“. ორივეს ექვს-ექვსი ქულა აქვს ამდენივე შესაძლებლობიდან, მესამე ადგილზეა ქუთაისის გუნდი.

ფეხბურთი. თბილისის მესამე ტაქსომოტორების პარკის გუნდმა „თოლიამ“ ვადამდე მოიპოვა საქართველოს დედაქალაქის ჩემპიონობა. „თოლიას“ 19 გამარჯვება, სამი ფრე და ორი დამარცხება აქვს. მეორე ადგილზეა „ელვა“, მესამეზე — „ლალი“. ქალაქის პირველობაში, რომელიც კიდევ გრძელდება, გამოდის 14 გუნდი.

მოკლედ

ჰავრანა. ოდესაში დამთავრდა სსრ კავშირისა და ეუგოსლავიის ნაკრები გუნდების რიგით მე-18 მატჩი. ანგარიშით 20:16 გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა. ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა ა. სუეტინმა — სამი ხუთი შესაძლებლიდან, იუგოსლაველთაგან ყველაზე შედეგიანი იყო დ. ველიმეროვიჩი — 4,5 ექვსიდან.

სოჭში გამართულ სსრ კავშირის ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატჩ-ტურნირზე პირველი სამი ადგილი დაიკავეს ბორის გულკომ (მოსკოვი), ვიტალი ცეშკოვსკომ (ომსკი) და იური ბალაშოვმა (მოსკოვი). სამივემ მოიპოვა უფლება იასპარეზოს მსოფლიოს ჩემპიონობის მორიგი ციკლის საზონათაშორისო ტურნირებში.

ფანამდრეზე ხუთშაბდ. საბჭოთა სპორტსმენმა პაული ლედნიო�ა ოქროს მედალი მოიპოვა მეხიოოში დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე — 5.056 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა უნგრელი ტამაშ კანნალი (5.025), მესამეზე — ინგლისელი ჯერემი ფოკსი (5.016). მეორე საბჭოთა ხუთშაბდელმა ვლადიმერ შმელიოვმა მეხუთე შედეგი აჩვენა (4.889 ქულა). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ უნგრელები — 14.703 ქულა. მეორე ადგილზეა აშშ-ის (14.444), მესამეზე — საბჭოთა კავშირის ნაკრები (14.299).

კალათბურთი. მორიგი მატჩი გამართა აშშ-ში საბჭოთა ვაჟთა ნაკრებმა, რომელმაც გრინსბოროში (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი) მეორე დამატებითი დროში დაამარცხა ქვეყნის სამხრეთი შტატების გუნდი — 99:92 (80:86, 80:80, 88:88). ჩვენს გუნდში უფლაზე შედეგიანი იყო თბილისელი დინამოელი მ. ქორქია — 17 ქულა.

ტენნისი. იაპონიის ქალაქ კიტაკიუსიუში მიმდინარეობს 6 ქვეყნის საერთაშორისო შეჯიბრება. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ქალთა შორის წინ არის გ. ეშერი (გდრ). იგი საუკეთესო იყო დვირზე, ხოლო ლ. ტურიშჩევასთან ერთად გაიყო პირველი-მეორე ადგილები თაკისუფალ ეირჯიშში. ვაქეებში უძლიერესნი იყვნენ ვ. ტიხონოვი და იაპონელი ხ. კაძიამა (რეკორდბზე), ნ. ანდრიანოვი და იაპონელი ს. კასამაცუ (ორძელზე).

შეხბურთი. სსრ კავშირის, ბულგარეთა და ესპანეთის გარდა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდნენ უელსი და იუგოსლავია. უელსელებმა თავის მოედანზე მოუგეს ავსტრიელებს — 1:0, ხოლო იუგოსლავიელებმა ბელგრადში ასეთივე ანგარიშით — ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრიბს.

გაიმართა კიდევ ორი შესარჩევი მატჩი: ლისაბონში პორტუგალიელებმა და ინგლისელებმა (პირველი ჯგუფი) ითამაშეს ფრედ — 1:1, ხოლო შტუტკარტში გფრ-ის ნაკრებმა (მერეე ჯგუფი) მოუგო ბულგარეთის გუნდს — 1.0.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში (სამხრეთ ავსტრალიის შტატი) მეორე ამხანაგური მატჩი გამართა ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0 (2:0). ბურთები გაატანეს შეპელმა, ევროიუეიხინმა და გერმაკოვიჩმა.

ლვოვში „კარპატის“ ფეხბურთელებმა პოლონეთის ქალაქ ჟეშუვში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ადგილობრივი კლუბი „რეშოვეკი“.



რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ჩვენი ცნობარი

სახელმწიფო ეკონომიკური ობლიგაციების მოგებიანი ნომრები

საცნობარო ცხრილი

მოგებათა 75-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1975 წლის 15 ნოემბერს ქ. ხარკოვში.

მოგება ხვდა სესხის ორმოცდათხუთმეტიდე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების მანეთობით
100223	43*)	2500	136075	1—50	40	169016	33*)	500
100519	1—50	100	136292	39*)	1000	169120	34*)	500
100860	1—50	40	136833	1—50	40	169189	16*)	500
101786	14*)	500	137349	1—50	100	169515	1—50	40
101867	41*)	500	137834	06*)	500	169536	25*)	1000
103050	04*)	500	138271	36*)	1000	169809	47*)	500
103427	1—50	100	139016	23*)	1000	170064	1—50	40
104317	16*)	500	139790	32*)	1000	171395	1—50	40
104521	44*)	500	139826	1—50	40	172214	19*)	500
104731	1—50	40	139963	10*)	500	172808	1—50	40
105778	40*)	500	140538	29*)	500	173782	02*)	500
107669	26*)	1000	140962	1—50	40	174424	04*)	1000
107745	13*)	2500	141713	07*)	500	175164	29*)	1000
108488	27*)	500	142379	16*)	500	175641	36*)	500
108902	30*)	500	145345	11*)	500	175804	38*)	500
109343	30*)	500	145444	46*)	500	176373	1—50	40
109605	09*)	500	145930	27*)	1000	176908	1—50	40
110067	1—50	100	146217	38*)	500	177140	41*)	500
111004	1—50	100	146295	12*)	500	177270	1—50	40
111341	30*)	500	146384	02*)	500	178092	18*)	500
111459	26*)	1000	146390	13*)	1000	178144	1—50	40
111614	17*)	500	147045	1—50	40	178978	18*)	500
111946	1—50	100	147879	37*)	500	179078	19*)	500
112487	29*)	500	147901	04*)	500	179622	1—50	40
113182	33*)	500	148526	28*)	500	179744	1—50	100
113849	41*)	1000	148646	19*)	500	180891	23*)	500
115017	06*)	1000	148880	12*)	500	181002	35*)	500
115556	19*)	500	150851	1—50	100	181524	14*)	500
115608	03*)	500	151221	27*)	1000	182003	36*)	500
115938	21*)	500	151361	37*)	500	182209	31*)	500
115991	16*)	500	151363	14*)	500	182240	04*)	500
117328	34*)	500	152032	1—50	40	182446	21*)	500
118433	41*)	500	152279	05*)	500	183937	1—50	40
118574	13*)	500	152895	1—50	40	184524	1—50	40
118851	11*)	500	152958	33*)	500	185140	47*)	500
119049	32*)	1000	152987	1—50	100	185981	30*)	500
120602	45*)	500	153254	1—50	40	186029	38*)	500
121351	16*)	500	154344	44*)	500	186713	38*)	500
122851	50*)	2500	154805	1—50	40	186839	33*)	500
123951	06*)	500	155672	06*)	500	187350	1—50	40
125347	36*)	500	156590	44*)	2500	188577	21*)	500
126817	1—50	40	156975	32*)	500	188789	10*)	500
127600	24*)	500	157914	09*)	500	189004	43*)	500
127615	30*)	5000	157954	1—50	40	189653	1—50	40
127968	30*)	2500	158031	48*)	500	190316	04*)	1000
128612	1—50	40	158746	02*)	500	191964	39*)	500
129155	06*)	1000	159101	1—50	40	193226	36*)	500
129157	10*)	500	160343	13*)	1000	195070	1—50	100
130016	1—50	40	160806	06*)	500	195610	30*)	500
130346	06*)	500	160897	08*)	500	195670	48*)	1000
131027	1—50	40	160911	22*)	500	195714	26*)	500
131068	1—50	100	161405	1—50	40	195891	1—50	40
131290	44*)	500	161474	1—50	100	196032	02*)	500
132079	46*)	500	162022	25*)	500	196187	43*)	500
132736	09*)	5000	163276	23*)	500	196743	1—50	40
132930	1—50	40	163682	1—50	40	197468	05*)	1000
133524	45*)	500	165241	48*)	500	198189	1—50	40
133768	19*)	500	165326	1—50	100	198374	08*)	500
134087	45*)	500	165821	33*)	500	198561	49*)	500
134175	10*)	500	166218	47*)	500	198632	1—50	100
134673	04*)	500	167233	28*)	500	198691	04*)	500
134856	22*)	500	167824	1—50	40	198733	33*)	500
135470	1—50	100	167945	29*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებები.
ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა შეხვედრილი მოგების ნახევარი.
მოგების თანხაში შესულია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლითაც შემნახველ სალაროები გასცემენ მოგებებს. დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ხარკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ი. ჟურავლიოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ვ. ზსინ.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ!

დაუსწრებელი სწავლების დეკანატი გაცნობებთ, რომ 1975 წლის ნოემბრიდან დეკანატის სამდივნო იმუშავებს 10 საათიდან 13 საათამდე, შაბათობით — 10-დან 15 საათამდე.



ჩათვლის წიგნაკის, სტუდბილეთის და სამუშაო ცნობის წარმოუდგენლად საგამოცდო ფურცლებს და სხვა ცნობებს დეკანატი არ გასცემს.

სასწავლო წლის მანძილზე ცნობა მუშაობის შესახებ ორჯერ უნდა იქნეს წარმოდგენილი: 20-დან 30 დეკემბრამდე და 20-დან 30 ივნისამდე.

მესამე კურსიდან სტუდენტები ვალდებულნი არიან პროფილით მუშაობდნენ.

1976 წლის ლაბორატორიულ-საგამოცდო სესიებზე სტუდენტთა გამოძახება დაგეგმილია: ზოოტექნიკური ფაკულტეტის II კურსისათვის — 10 იანვრიდან, III კურსისათვის— 15 მარტიდან, IV კურსისათვის — 10 თებერვლიდან, V კურსისათვის — 8 დეკემბრიდან და 6 იანვრიდან. სავეტერინარო ფაკულტეტის II, III, IV და V კურსებისათვის — 10 იანვრიდან, VI კურსისათვის — 15 აპრილიდან. სესიებზე სტუდენტი გამოძახებული იქნება იმ პირობით, თუ მას წინა კურსი დახურული აქვს.

კონსულტაციები, ჩათვლები და გამოცდები დადგენილი 10-დან 20 რიცხვების გარდა, ჩატარდება თვის ყოველ შაბათს 10-5 საათამდე.

დაგვიანებული სტუდენტები ვალდებულნი არიან უმოკლეს ხანში გამოცხადდნენ ინსტიტუტში სათანადო სამუშაოების შესასრულებლად და ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თავიანთი პირადი საქმეების გარკვევა-დაზუსტებისათვის გამოძახებულმა სტუდენტებმა, რომლებიც არ გამოცხადებულან ინსტიტუტში, ვალდებულნი არიან 15 დეკემბრამდე პირადად წარმოადგინონ დეკანატში ჩათვლის წიგნაკი და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

სტუდენტებმა, რომლებმაც საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამსახური გაიარეს, უნდა წარმოადგინონ ცნობა კომისარიატიდან.

სახელმწიფო გამოცდებზე წლეულს დამატებით შეტანილი იქნება მეცნიერული კომუნიზმის საგანი.

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდები ჩატარდება თებერვალში, ხოლო სავეტერინარო ფაკულტეტზე — ივლისში. გამოცდებზე გამსვლელმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა და დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

დეკანატი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა საბჭო იუწყებიან, რომ გარდაცვალა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი, სსრკ სპორტის ოსტატი

სპარტაკ ივანეს-ძე ჯაჯელავა.

ტელევიზია

21 ნოემბერი

პირველი პროგრამით

სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი

დოკუმენტური ფილმები:

10.00 — „დიმიტრი შოსტაკოვიჩი“. ფერადი (გაერთიანება „ეკრანი“),
11.00 — „მეოთხე სიმაღლე“. (ყაზახეთი), 11.15 — „ბრიგადის ავტოგრაფი“ (ეიუბიშევი), 11.30 — „პიშმინის გაკვეთილები“ (სვერდლოვსკი),
11.45 — „ბური კრილოვი“ (ჩრიმორიე),
12.00 — „ბალი უდაბნოში“. ფერადი (ოურკმენეთი), 12.15 — „მოხუცი და ტბა“. ფერადი (ყაზახეთი), 12.40 — „ავტოპორტრეტი“ (უკრაინა),
13.10 — „მდუმარებაში მფრენნი“. ფერადი (კიევის სამეცნიერო ფილმების სტუდია).

**მხატ